

# საერთო გაზეთი

№9 (514) • 20 მარტი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღირსი 1 ლარი

## ოქროს სათაღარიგო



ირაკლი ღარიბაშვილი ქართველი ქაცია, რომელსაც უხვარს საქართველო და ზოგიერთები ამ სიხვარულს არ მალავენ...

**ლუკა კურტიანიძე:**  
„ქართულ ოცნებაში“ თაობათა ბრძოლა უნდა დასრულდეს!



**ალი ბაბაიძე:**  
დღემდე არ მითქვამს, მაგრამ ახლა დიად ვაძხვავ: პარტიანი სერიოზული ნაბიჯი უნდა ჩატარდეს!




### ამათ ხელში, გავულო, რამ ფახებს აყვავდება!



**კობა არაბული:**  
ხელისუფლებას დაკარგული აქვს გზა მწვერლობისკენ – ერი და სახელმწიფო აღმოჩნდა უმწერლო სივრცეში და სააკაშვილის დარღუებას დანატოვარი მედროვე ულტრალიბერალისტი მორიდორების ხელში.

**ხელისუფლებამ უნდა გადაარჩინოს მწერლობა და მწერლობა გადაარჩინოს ერს**

### თანამედროვე მონათმფლობელობა



**ქაცის ასლი**



„ირაკლი ღარიბაშვილის საჯაროდ გამოჩენა მომენტალურად იწვევს საზოგადოების გამოცოცხლებას, რასაც თან მოსდევს ახალ-ახალი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ღარიბაშვილი ახლო ხანებში აუცილებლად დაბრუნდება პოლიტიკაში.

ყოველივე ეს იმის მანიშნებელია, რომ ხალხს უყვარდა და დღემდე უყვარს ირაკლი ღარიბაშვილი, ხალხის სიყვარულის დამსახურება კი ადვილი საქმე არ არის, მით უმეტეს, ახალგაზრდა კაცისთვის, რომელმაც სულ რაღაც ოთხი წელი იმოღვაწა პოლიტიკურ ასპარეზზე, სფეროში, რომელიც მანამდე სრულიად ახალი და უცნობი იყო მისთვის.

მაინც რაში მდგომარეობს ირაკლი ღარიბაშვილის ესოდენ დიდი პოპულარობის და ავტორიტეტის მთავარი საიდუმლო?

პირველ ყოვლისა, ალბათ, მის პიროვნულ თვისებებში და მის არაორდინარულ ქარიზმაში, რომელსაც ერთი შეხედვით ქარიზმსაც ვერ დაარქვამდნენ, იმდენად რბილი და ბუნებრივია ის შტრიხები და ხაზები, რაც მთლიანობაში კრავს მის პიროვნულ ხიბლს და მიზიდულობას.

ირაკლი ღარიბაშვილი არ თამაშობს, ის არის ის, ვინც არის სინამდვილეში – პირდაპირი და ალალი, ზოგჯერ ხისტი და ცოტათი უხეშიც კი, მაგრამ გულწრფელი და მართალი, რომელსაც მთელი არსებით სჯერა იმისი, რასაც ამბობს და, რაც მთავარია, მას აქვს მკვეთრად გამოხატული პოზიცია, მკვეთრად გამოხატული ფასეულობები და ღირებულებები, რომლებიც ზუსტად ემთხვევა ქართველი კაცის ეროვნულ ფასეულობებსა და ღირებულებებს.

**მოკლედ რომ მოვჭრათ, ირაკლი ღარიბაშვილი ძართვანი კაცია, რომელსაც უყვარს საპარტიო და ზოგიერთი პარტიისთვის ამ სიყვარულს არ მაღაზს: – არიძა, ამ მსოფლიო მასშტაბში გლობალიზაციის და კოსმოპოლიტიზაციის ეპოქაში ვიღაცამ საფორმალურად განსაჯაროებული სიყვარული არლიტიკურად წამოგვინა ნიშნად არ ჩამოვალსო.**

ქართველები ირაკლი ღარიბაშვილში თავისიანს, თავისი სის-

და თავხედური გამოხატობის გამო დაისჯა. ვერ გეტყვით, რამდენად შესაბამეა სინამდვილეს ეს ვერსია, რომელიც ღარიბაშვილის გადადგომის მიზეზად არაოფიციალურად, ჭორის სახით გავრცელდა, თუმცა დაუჯერებელი და ფანტასტიკური ამ ვერსიაში არაფერია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, არცთუ ისე შორეულ წარსულში რა ძვირად უჯდებოდათ მსგავსი რეპლიკები ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს...

ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომამდე და გადადგომის შემდეგაც ეწ. პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსებისა და ენჯელოების წარმომადგენელთა მხრიდან და-

ქვეშ – იყილება ყველაფერი, სინდისის გარდა, რუსეთს მიჰყვება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბიზნესები, რუსულ კაპიტალს ფართოდ გაუხსნეს კარები საბანკო სექტორში და ა. შ.

ეს გააკეთეს იმ ადამიანებმა, რომლებიც თავიანთ თავს პროდასავლურ ძალად მიიჩნევენ და რუსეთის რადიკალურ და შეურიგებელ ოპონენტებად ითვლებიან. როგორ შეიძლება ამის ახსნა? ვკითხუთ ერთ ადამიანს, რომელიც შესანიშნავად იცნობს სპეცსამსახურების მუშაობის სტილს.

ძალიან მარტივი სქემაა რუსეთი თავის აგენტურას ჯერ დასავლური ორიენტაციის იმიჯით ფუთავს, მერე კი ეს კარგად შენიღ-

ბული ადამიანები უფრო ლაღად და თავისუფლად ემსახურებიან რუსულ ინტერესებს. სიტყვებსა და ანტირუსული განწყობის რადიკალურ განცხადებებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მთავარი ის კი არ არის, ვინ რას ამბობს, მთავარი ისაა, რა შედეგით მთავრდება ესა თუ ის პროცესი.

აი, ასეთი უცნაური პასუხი მივიღეთ ჩვენს კითხვაზე იმ ადამიანისგან, რომლის კომპეტენციაში ეჭვი არ გვებარება.

ირაკლი ღარიბაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ ის პოლიტიკაში არ არის, დღესაც ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს და მოქმედ პოლიტიკოსებს, ალბათ, დიდი სხვაობით უსწრებს კიდევაც, მაგრამ საზოგადოების გასაკვირად, მისი ეს სერიოზული რესურსი დღემდე გამოუყენებელია.

ის ჰგავს მაღალი კლასის მოთამაშეს, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი კლასის მოთამაშეა, მწვრთნელი მაინც სათანადო სკაშზე ასვენებს.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ მწვრთნელი რაღაც ძალზე დიდი და მნიშვნელოვანი მატჩისთვის ინახავს მას, რადგან იცის, მოედანზე შემოვა თუ არა, ის აუცი-

# ოქროს სათაღარიბო

ხლის და ხორცის ნაწილს ხედავენ ის ერთი უბრალო ქართველი ბიჭია, უბრალო და წესიერი ქართული ოჯახიდან, რომელსაც არც მილიონები ჰქონია, არც მაღალჩინოსანი წინაპრები, არც პარტიული ნომენკლატურის წარმომადგენლები ჰყოლია გზის გამკვლავად მან ყველაფერს თავისი შრომით და თავდადებათ მიადღწია.

მისი ცხოვრება რაღაცით ჰგავს კონკრეტულ სიუჟეტს და ესეც არის მის მიმართ გამოვლენილი სიყვარულის და თანადგომის საიდუმლო ერთ-ერთი დეტალი.

ახალგაზრდები მასში ხედავენ წარმატებულ თანატოლს, რომლის წარმატება ერთგვარი იმედი და მოტივაციაა მათთვის, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებისთვის ირაკლი ღარიბაშვილი მათი შეილებიან და შეილებილებების პერსპექტივისა და წინსვლის შანსის რეალური დასტურია და ა. შ. და ა. შ.

დღემდე ბურუსითაა მოცული, თუ რა იყო პრემიერ-მინისტრის პოსტიდან ირაკლი ღარიბაშვილის მოულოდნელი გადადგომის მიზეზი.

სხვადასხვა საგარეულო მიზეზთა შორის სახელდება ერთი – ეს არის მისი მკვეთრი და ხისტი განცხადება ერთი შეხედვით ქორწინების შესახებ.

– სანამ მე პრემიერ-მინისტრი ვარ, საქართველოში ეს კანონი არ იქნება მიღებული! – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი ეს განცხადება აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას იმ ცნობილი ინციდენტის შემდეგ, რომლითაც ობამამ მხარი ერთსქესიანთა ქორწინების შემოღებას დაუჭირა, სულ რამდენიმე დღეში გაკეთდა და, ცხადია, ღარიბაშვილის განცხადება ობამას მისამართით ნასროლ რეპლიკად და დინების საწინააღმდეგო სვლად იქნა აღქმული, რის გამოც მცირერიცხოვანი და პატარა ქვეყნის ურჩი პრემიერი, რომელმაც გაბედა და ხმა აღიმართა ზეისხელმწიფოს ლიდერის წინააღმდეგ, ურჩობისა



რბაშვილის მისამართით ხშირად ისმოდა ბრალდებები, თითქოს ღარიბაშვილი პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსი იყო.

გასაოცარი და გასაკვირი ამ ბრალდებებში ყველაზე მეტად ის არის, რომ ეს ბრალდებები ჟღერდებოდა იმ პოლიტიკური ორგანიზაციის მხრიდან, რომლებმაც საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი რუსეთს მიართვეს, მანამდე კი რუსეთიდან მოვლინებული ბროკერის ცნობილი დევიზის

ბული ადამიანები უფრო ლაღად და თავისუფლად ემსახურებიან რუსულ ინტერესებს. სიტყვებსა და ანტირუსული განწყობის რადიკალურ განცხადებებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მთავარი ის კი არ არის, ვინ რას ამბობს, მთავარი ისაა, რა შედეგით მთავრდება ესა თუ ის პროცესი.

აი, ასეთი უცნაური პასუხი მივიღეთ ჩვენს კითხვაზე იმ ადამიანისგან, რომლის კომპეტენციაში ეჭვი არ გვებარება.

ლებლად გაიტანს გამარჯვების ოქროს ბურთს.

ჯერჯერობით არავინ იცის, რა ჩანაფიქრი აქვს მწვრთნელს, ან რომელი მატჩისთვის ინახავს სათანადო სკაშზე გამწვრთნელს ამ მოთამაშეს, თუმცა, უეჭველია, ეს მატჩი ადრე თუ გვიან აუცილებლად შედგება და ირაკლი ღარიბაშვილიც აუცილებლად გავა მოედანზე...

**პასტანო ხარჩილაშა**  
„სგ“ N 16, 26 აპრილი 2017 წ.

**P.S.** ამ წერილის გამოქვეყნებიდან ორი წელი გავიდა და ირაკლი ღარიბაშვილი მოედანზე დაბრუნდა. როგორც ჩანს, მოახლოვდა იმ დიდი და მნიშვნელოვანი მატჩის დრო და „მწვრთნელმა“ ოქროს სათაღარიგოს ასპარეზზე გამოყვანა საჭიროდ ჩათვალა. მის გამოჩენას სიხარულით და აღტაცებით შეხედნენ მისი მრავალრიცხოვანი გულშემოტიკურები – ის უყვართ, მისი იმედი აქვთ, მისი სჯერათ!

**შვიდი წელი გავიდა მას შემდეგ და შვიდი წელი გავიდა მისი მიხვედრის პიდეგაც, რა დიდი წვლილი აქვს შემადგენელი ირაკლი ღარიბაშვილს და მის ოჯახს „ქართული ოცნების“ გააძლიერებაში.**

ერთ მომენტს გავიხსენებ იმ დროიდან, როცა ყველაფერი სასწორზე იყო შეგდებული და არავინ იცოდა, რით შეიძლებოდა დამთავრებულიყო ბიძინა ივანიშვილის მოულოდნელი შემოსვლა პოლიტიკაში. ეს ის დროა, როცა ირაკლის სიმამრი, გენერალი თამაზ თამაზაშვილი უკვე დაკავებული ჰყავთ ნაციონალებს იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით.

ნაციონალებმა ირაკლის შემოუთვალეს – ოღონდ წამოდე ბიძინა ივანიშვილისგან და შენს სიმამრს ხვალვე გავათავისუფლებთო.

ამ ამბავმა ბატონი თამაზის ყურამდეც მიადღწია. – მე აქ ვიჯდები იმდენ ხანს, რამდენი ხანიც საჭირო იქნება, თქვენ კი საქმეს მიხედეთო, – შემოთვალა ბატონმა თამაზმა ციხიდან.

გმირობაა ეს და ამ გმირობას დაფასება და პატივისცემა უნდა.

ირაკლი ღარიბაშვილის მიერ პრემიერობის დროს გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯიც გმირობის ტოლფასია და არც ეს უნდა დაევიწყეთ.

ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნებამ „ქართული ოცნების“ „ქართული ოცნებისთვის“ და ქართველი ხალხისთვის დაბრუნებას უნდა შეუწყოს ხელი, რომ 2020 წელს წარმატებით დამთავრდეს 2012 წელს დაწყებული ბრძოლა ბოროტებასთან, რომელიც ჯერჯერობით ბოლომდე არ არის მიყვანილი...

3.6

**„საერთო გაზეთი“**  
გამომცემელი: შპს საგაომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“  
მის: თბილისი, ალექსანდრის 164;  
ტელ.: 2 34 28 97;  
E-mail: saertogazeti@yahoo.com  
რეგისტ. №202375349; შპს (სბ) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციას არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში. გამოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. ინფორმაცია შპს „საგაომცემლო ცენტრი“ სტამბაში; თბილისი, ალექსანდრის 164. © 2019 წლის ავტორთა საერთაშორისო მასშტაბით.

ლუკა კურტიანიძე:

# „ქართულ ოცნებაში“ თაობათა ბრძოლა უნდა დასრულდეს!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია, ყოფილი პარლამენტარი, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ლუკა კურტიანიძე:

— ლუკა, დიდი ხანია „საერთო გაზეთის“ სტუმარი არ ყოფილხარ. გასულ წელს ქვეყანამ ახალი პრეზიდენტი აირჩია. მეორე ტურის წინ ბიძინა ივანიშვილმა დაპირებები გასცა საკადრო, საბანკო და სხვა სფეროებთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, ქვეყნის შენების ახალი ეტაპი დაიწყო? — მინდა სიამაყით აღვნიშნო,

რომ საქართველომ პრეზიდენტად ღირსეული ქალბატონი აირჩია. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: ივანიშვილის პოლიტიკაში მობრუნება დიდი იმედის მომცემია.

— თქვენ თანაგუნდელების ერთი ნაწილი, დღეს „ქართულ ოცნებას“ დიად აკრიტიკებს. როგორია ამ საკითხზე თქვენი პოზიცია?

— რაც შეეხება კრიტიკას, ეს დასაშვებია, მაგრამ ამან ის იდეა, რის გარშემოც გავერთიანდით, არ უნდა დააზიანოს. ბევრი ამბობს: თვითკრიტიკა კარგიაო, მაგრამ ზომიერება აუცილებელია, რადგან ზედმეტი თვითგვემისგან

ხალხო კრებაში“ ვიყავი ერთ-ერთი შეხვედრისას ჭაბუა ამირეჯიბმა თქვა: ნუ შეგეშინდებათ, რომ ცოტანი ვართ იმიტომ, რომ საქართველოს ისტორიაში ყოველთვის სწორედ ეს ცოტა ქმნიდა ამინდს და მერე ვბევრდებოდითო. იმიტომ, მინდა ვთქვა: ერთიანობა ნებისმიერ საქმეში აუცილებელია და მით უმეტეს მაშინ, როცა ქვეყანა გაბარია. პასუხისმგებლობა რაც ქვეყნის მართვას ახლავს, ყველამ გუნდური პრინციპით უნდა გავინაწილოთ, ერთიმეორეს შევეხილოთ და ტვირთი გადავინაწილოთ. ერთ დეტალს აღვნიშნავ: ოქტომბრის დასაწყისში ვგრძნობდი, რომ შეიძლება პირველ ტურში არჩევნების მოგება სათუო გამხდარიყო. უბრალოდ, ინიციატივა გამოვიჩინე. „ქართული ოცნების“ შტაბს დაუკავშირდი და ვუთხარი: საქმე ისეა, ასეთი მიდგომით პირველ ტურში ვერ გავიმარჯვებთ-მეთქი. მიპასუხეს: ყველაფერს გადავამოწმებთ და რამდენიმე დღეში დაგირეკავთო, მაგრამ კვლავ არავინ დაკავშირებია.

ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, შტაბში რამდენჯერმე ძალით მივედი, ჩემი თანადგომა შევთავაზე. მათგან იგნორირების მეტი არაფერი ყოფილა. ივანიშვილის განცხადება რომ არა, რამაც ყველა გაგვაერთიანა, მეორე ტურიც იმავე შედეგით დასრულდებოდა, რითაც პირველი. ის მებრძოლები ვისაც არც ტყვიას აშინებთ, არც სამშობლოსთვის სიცოცხლის გაწირვა, კვლავ ვე-



ლოდებით კომუნიკაციას. მზად ვართ შეხვედრისთვის, ნებისმიერი კომუნიკაციისთვის და იმ თემებზე სასაუბროთ, რაც ჩვენი ქვეყნისათვის პასუხისმგებლობას აკვალვინებს. პირველ რიგში, ეს პასუხისმგებლობა, საკუთარ თავზე, ხელისუფლებამ უნდა აიღოს. მე არ ვარ ადამიანი, რომელიც რამდენიმე პარტიას გამოიცვლის. მე ის ადამიანი ვარ, რომელიც იმ იდეამ გააერთიანა, რომლის მატარებელიც ბიძინა ივანიშვილია. მას თავისი საქმეებიდან, განვლილი ცხოვრებიდან გამომდინარე ვაფასებ. იგი არ არის პოლიტიკური ფიგურა, რომელმაც პოლიტ. მჭერმეტყველებით გაიკვლია გზა, არამედ სამშობლოს სიყვარულით,

ადამიანობით, შრომისმოყვარეობით, მიზანსწრაფულობით, ცხოვრების წესით. მან ეს დოვლათი ჩვენი სამშობლოს გადარჩენის იდეას მოახმარა. მისგან ჩვენს სამშობლოს უამრავი სიკეთე ერგო. ბიძინა ივანიშვილი ჩემთვის არის იდეა. როცა ამ იდეას ძალა ამოწურება, მეც ვიტყვი, რომ ჩემი პოლიტიკური დრო ამოწურა და ქვეყნის მსახურებას ჩემს პროფესიაში გაავარძელებ.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, ძველ გვარდიაში ბევრი სფეროს წარმომადგენელია გაერთიანებული, რომელთაც 2011 წელს, სააკაშვილის რეჟიმის აღზევების პიკში, ყველაფერი გადადეს იმისათვის, რათა ამ რეჟიმს, სასაკლაოს შეწინააღმდეგებოდნენ. თითოეული მათგანი მახსოვს. ზოგმა, ტრანსფორმაცია განიცადა და ახლა, გრიგოლ ვაშაძესთან აღმოჩნდა. ვაანალიზებ და ვადასტურებ, რომ ისინი „ქართულ ოცნებაში“ თავის დროზე ანგარების გამო იყვნენ. ბუნებრივია, მათ ვერ ჩავთვლით იმ ადამიანთა რიცხვში, ვისაც ძველ არმიას უწოდებენ. ვგულისხმობ, „რესპუბლიკელებს“, „ფორუმს“. ამ პარტიების წარმომადგენელთა განცხადებები ამაზრუნია: როცა „ქართულ ოცნებაში“ საკვანძო თანამდებობები ეკავათ (ზოგე თავდაცვის მინისტრი იყო, ზოგიც პარლამენტში ვიცე-სპიკერი და ა.შ.), მაშინ ივანიშვილი კარგი კაცი იყო, მას მერე რაც ამ პარტიის წილიდან გავიდნენ, ლანძღვა დაიწყო. საზოგადოებამ ასეთ ფიგურებს ხაზი უნდა გადაუსვას. პოლიტიკაში ტივტივის გამო „ნაცებთან“ რომ ერთიანდები, ვინაც ქვეყანა დალუპვის პირას მიიყვანა და მათთან ერთად მოლაპარაკების მაგიდასთან სხდები, ე.ი. „ქართულ ოცნებაში“ ანგარების გამო ყოფილხარ. გამოდის, ისინი თავიდანვე ხალხს ატყუებდნენ. ვინც ქვეყანა დალუპა, მათთან როგორ უნდა გაერთიანდები? საზოგადოებას ვურჩევ, ასეთი ადამიანები სა-



ბედნიერი ვარ იმით, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში აქტიურად ვიყავი ჩართული, განხლდით სალომე ზურაბიშვილის წარმომადგენელი ნაპოლეონის რაიონში. ამ ყველაფერს წინ უძღვოდა ბატონი ბიძინა ივანიშვილის მოწოდება: მეორე ტურში ყველანი გავერთიანებულიყავით. სწორედ, ამ ერთიანობამ მიგვიყვანა გამარჯვებამდე. პირველ ტურში, ალბათ, ზედმეტი თავდაჯერებულობა იყო, შედეგად, საზოგადოებამ დღევანდელ ხელისუფლებას, მმართველ პარტიას მესიჯი გამოუგზავნა. ვფიქრობ, ყველაფერი უკეთისი მომავლისთვის კეთდება. მეორე ტურში იმ ხალხის გამოფხიზლება მოხდა, რომლებიც თავიდანვე იყვნენ ამ ბრძოლაში ჩართულნი. სამწუხაროდ, ხელისუფლებას ეგონა, საზოგადოების გარეშე შეძლებდა „ნაციონალების“ დამარცხებას, მაგრამ შეცდა და მოსახლეობისგან შესაბამისი „ყვითელი ბარათიც“ მიიღო. მეორე ტურის წინ ბატონი ბიძინას გაკეთებულმა განცხადებამ ყველანი გაგვაერთიანა. ეს გამოწვევა მივიღეთ, რადგან ამ ადამიანის გეგმას და გვეჯერა. ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ ერთი სახელი და გვარი არ არის, არამედ მან თავისი განვლილი ცხოვრებით შექმნა იდეა, რითაც უამრავი ადამიანი გააერთიანა. მათ შორისაა, ბევრი გამორჩეული ადამიანი, რომლებიც მის სიტყვას სიცოცხლის ფასად იცავენ და იმ საქმეს ემსახურებიან, რაც სამშობლოს აძლიერებს. ამ მოწოდებით მივედით იქამდე,


უკუქცევა არ მივიღოთ, რაც გადინებას გამოიწვევს. ადამიანები იქ იკრიბებიან, სადაც ძალას ხედავენ. ჩვენ ერთმანეთი უნდა გავიკრიბოთ და არა დავეჭამოთ.

— ახალი პოლიტიკური წელი ცვლილებებით დაიწყო. პოლიტიკაში დაბრუნდა ირაკლი ღარიბაშვილი. როგორ ფიქრობთ, დადგა ჟამი 2012 წლის იდეების განახლებისა და ხორცშესხმის?

— ყველა იმ ადამიანს ვაფასებ, ვინც 2011 წლიდან სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში იყო ჩართული. რა თქმა უნდა, ამ ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი ირაკლი ღარიბაშვილს უჭირავს. იმეღია, ის დრო რაც პოლიტიკაში აღარ იყო, მოვლენების განხილვებზე დასწრებით, თავის განვლილ გზას გადახედა. თითოეული ადამიანი, რომლებიც ამ ბრძოლაში ჩართული ვიყავით, მზად ვართ ირაკლი ღარიბაშვილს შევხვდეთ. ერთი და მთავარი რასაც ვისურვებდი — მეტი კომუნიკაციაა. ზემოთ, შემთხვევით როდი ვახსენე მეორე ტური. ზედმეტი თავდაჯერებულობის, კომუნიკაციის არქონის გამო, კინაღამ საეალალო შედეგი დადგა.

— საუბრისას ახსენეთ, ივანიშვილმა ძველი გვარდია მოიხმრო. თქვენ ვის მოიაზრებთ ამ ხალხში?

— ზოგი ძველ გვარდიელებს ქილიკით იხსენიებს, ზოგიც ამ გვარდიაში პოლიტიკოსებს მოიაზრებს, ზოგი — უბრალო ხალხს. ერთ რამეს გავიხსენებ: როცა „სა-



ლუკა კურტანიძე:

# „ქართულ ოცნებაში“ თაობათა ბრძოლა უნდა დასრულდეს!

← 3 გვ.

ერთოდ უარყოს. გუბაზ სანიკიძეს უჯობს ბარი და თოხი დაიკავეს. ნამდვილ ძველ გვარდიაში კი შედიან ადამიანები, რომლებიც რა იდეის მატარებლებიც 2011 წელს იყვნენ, დღესაც ამ იდეას ერთგულებენ და კრიტიკაშიც ზომიერნი არიან. იმ ადამიანებს ვინც კრიტიკის თვალსაზრისით ზომას გადადის, მოუწოდებ: დაფიქრდნენ რამდენად არაა ეს ერთიანობა. მე კარგი ვარ და შენ ცუდი, ასეთი ტერმინოლოგიით ნუ ვისაუბრებთ იმიტომ, რომ ძველი გუნდიც და ახალიც ორივე ჩემი ნაწილია. ახალიც რომ წაიქცეს, ეს ჩემი წაქცევაა. ამიტომ, ყველას — ახალ და ძველ თაობასაც მოუწოდებ: ერთიანობისკენ გადაიდგას ნაბიჯები და „ქართულ ოცნებაში“ თაობათა ბრძოლა დასრულდეს. აუცილებლად უნდა გავერთიანდეთ. ბევრი საქმეა გასაკეთებელი, რასაც ცალ-ცალკე ვერც ძველი თაობა მოერევა და ვერც ახალი.

კიდევ დავაკონკრეტებ: ძველი გვარდიაა ყველა ის ადამიანი, ვინც 2012 წელს ამ იდეის გარშემო იყო გაერთიანებული. ასაკი აქ არააფერ შუაშია, ეს შეიძლება იყოს 20 წლის ადამიანიც და 55-ისაც. ასაკობრივი ცნებით დაპირისპირება, გაუგებარია. ამ იდეას თუ არ გაჰყვები გინდ 15 წლის იყავი და გინდ 75-ის, მნიშვნელობა არ აქვს. სამწუხაროდ, ახლა, ეს გამაერთიანებელი იდეა ისე გამოკვეთილი არ არის, გზადაგზა გაფერმკრთალდა და მივივიწყეთ. გავიხსენოთ, რისთვის გავერთიანდით და მოდით, ეს მიზანი განვახორციელოთ. გამარჯვება მოვიპოვეთ, მაგრამ ომი ჯერ არ დასრულდებულა, ისევ

გრძელდება და ეს ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

— ლუკა, ძველ გვარდიაში მოიაზრებიან ის ადამიანებიც, რომელთაც 2012 წელს თემატურ ჯგუფებში საკმაოდ კარგი პროექტები შექმნეს ქვეყნის განვითარებისა და გაძლიერებისთვის. ეს პროექტები, ახლა, თაროზეა შემოდებული. ხომ არ დადგა დრო პროექტები თაროებიდან ჩამოვიღოთ და მისი შემქმნელებიც „ქართულ ოცნებას“ დაუბრუნოთ?

— დიახ, ეს ხალხი, ყველანი — ხელოვანები, სპორტსმენები, იურისტები, ეკონომისტები, პოლიტიკოსები ბიძინა ივანიშვილის იდეამ გაგვავრთიანა და შესანიშნავი პროექტები შექმნა. ამის განსახორციელებლად საჭიროა კომუნიკაცია სწორედ ბიძინა ივანიშვილთან იმიტომ, რომ იგი არის წყარო ჩვენი ერთიანობის, იგია ძალა, რომელიც ხელოვანსაც, მეცნიერსაც, ჟურნალისტსაც ყველას შეკრებს. ამა თუ იმ საკითხის განხილვა მათთან ერთად უნდა მოხდეს, ვინც ჩვენ ლიდერებად ვაღიარეთ. ივანიშვილმა კვლავ უნდა ითავოს გამაერთიანებლის ფუნქცია.

— ლუკა, თქვენ, პარლამენტის წევრი იყავით, თუმცა ვილატებმა ჩათვალეს რომ სპორტსმენის ადგილი იქ არ არის. ამის გამო განაწყენებულ იყავით. ამ გადმოსახედიდან, რამდენად სწორი იყო ეს მიდგომა?

— დიახ, კონკრეტულად ჩემზე თქვეს: ლუკა კურტანიძე სპორტსმენია და მისი ადგილი პარლამენტში არ არისო. შე დალოცვილო, როდესაც ვიბრძოდი, მიტინგებზე, დემონსტრაციებზე ვიდექი, 26 მაისს დამარბიეს, მაშინ პოლიტიკა-



ში ვიყავი და ახლა აღარ ვარ?! რეჟიმის წინააღმდეგ განცხადებებს რომ ვაკეთებდი, მაშინ კარგი ბიჭი ვიყავი ხომ?! ყოველთვის აღვნიშნავდი, რომ აფხაზეთიდან, სოხუმელი ვარ, მთელი ოცი წელი ამერიკელს, გერმანელს, თურქსა თუ სხვას საქართველოს პიძინის ქვეშ ვაყენებდი ფეხზე და ჩემი ქვეყნის პატივსაცემად ისინი ჩემი სამშობლოს პიძინის მოსმენისას ფეხზე დგებოდნენ, ეს თურმე პოლიტიკა არ ყოფილა. არც ის ყოფილა პოლიტიკა, რაც წლების მანძილზე სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლაში გამოვიარე. თურმე, მე არ ვარ პოლიტიკოსი. ერთი რამ მინდა „საერთო გაზეთის“ მეშვეობით ყველას გასაგონად ვთქვა:

ჩემი გადმოსახედიდან, პოლიტიკა არის სამშობლოს, ოჯახის სიყვარული. სამშობლოში ერთიანდება იმ ერის სიყვარული, სადაც შენ დაიბადე და ამ იდეებისთვის ბრძოლა. მგონი, მე ყველა გზა გამოვიარე. როდესაც რაღაც საკითხის განხილვაა და ჩემი გაწევა სურთ იმის გამო, რომ მე სპორტსმენი ვარ, სწორად არ მიმაჩნია. სხვათა შორის, სპორტშიც პირველი ვარ და სამშობლოსთვის ბრძოლაშიც. ჩემს უკან უამრავი ადამიანი დგას, რომელთაც სჯერათ ჩემი განვლილი გზის. სამშობლოზე ფიქრი, ზრუნვაა პოლიტიკა. პოლიტიკა თუ იმას ნიშნავს ათ პარტიას რომ გამოიცვლი, ხან ლეიბორისტი ხარ, ხან „ნაციონალი“ და ხანაც „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი, ეს თუ არის პოლიტიკოსობა, მაშინ მე, არ ვარ პოლიტიკოსი. რა თქმა უნდა, შეცდომები მქონია, მაგრამ უკან რომ მოვიხედავ ჩემს ოჯახს, შვილებს, მეგობრებს სიამაყით შეუძლიათ იკითხონ: ვინ არის ლუკა კურტანიძე. ასე, რომ სანამ იმის განხილვას დაიწყებენ ვარ თუ არა მე პოლიტიკოსი და მაქვს თუ არა უფლება ჩემი სამშობლოს პოლიტიკაში ვიყო, ჯერ თავიანთ ცხოვრებას გადახედონ. საპარლამენტო ქვეყანაშია ორგანოში უამრავი სფეროს წარმომადგენელი იყოს თავს. ხომ არ შეიძლება მეცნიერმა გადაწყვეტილება მიიღოს იმ დარგში, რაშიც მე ვარ. ექიმიც, ხელოვანიც, მეცნიერიც, სპორტსმენიც არის კრებული, რომელიც ქმნის ქვეყნის დოვლათს. პარლამენტში ყველა სფეროს წარმომადგენელი უნდა იყოს.

— წელან, ახსენეთ: ღარიბაშვილთან ბევრი რამ მაქვს გასარკვევით. რას გულისხმობდით?

— ირაკლი არის ის ადამიანი, რომელმაც ბევრის სიყვარული

მოიპოვა, ერთ-ერთი მათ შორის მეც ვარ. მას თავისი ქარიზმით შეუძლია უამრავი ადამიანი გააერთიანოს. ჩემს მაგალითზე გეტყვით: როცა ამა თუ იმ შეჯიბრზე შედევს დავდებდი, მერე, მომდევნო ასპარეზობამდე ვაანალიზებდი რა იყო სწორი და რა — შეცდომა. ჩვენ ვითხოვთ, უშუალო კომუნიკაციას, რათა ერთობლივად გადავანალიზოთ: ვინ რა შეცდომა დაუშვა. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გავიზაროთ რატომ მივედით აქამდე, რა შეცდომები დაუშვეთ, რა არის გასახლებელი. აქამდე იმიტომ მივედით, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, გუნდში კომუნიკაცია დაიკარგა. ვინც შენ ძალას და იმედს გაძლევს, მასთან კომუნიკაციის არქონა დაუძლურებს ნიშნავს. როცა ქვეყნის წამყვან ლიდერებთან კომუნიკაცია არ გაქვს, სუსტდები, შენს ირგვლივ მყოფები სხვაგვარად გიყურებენ, ძალა გეცლება. ეს ძალა, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილია, მერე ირაკლი ღარიბაშვილი, კახი კალაძე და ა.შ. ანუ, ის ხალხი ვინც პარტიაში ამინდს ქმნის. მათთან კომუნიკაციის სიმწირე ერთიანობას აუძლურებს. ივანიშვილმა თქვა სანამ ჩემს რესურსს არ ამოვწურავ, მანამდე ქვეყნის სამსახურში ვიქნებიო. ეს დიდი ძალაა ჩემთვის, სოსოსთვის, ბატონი ვახტანგისთვის, თქვენთვის ყველასთვის, ვისაც ამ იდეის გვეჯერა. ყველაზე მთავარი ერთიმეორის მოსმენაა. ვიცე ირაკლის ღირებულებები, მიზნები. ჩვენი მოძრაობა ქალტური რომ არ იყოს და არ დავიქსაქსოთ, ამისთვის მეტი ურთიერთობაა საჭირო, რათა ერთიმეორეში ძალა ვიპოვოთ და ქვეყნისთვის მეტი სიკეთე გავაკეთოთ.

თამარ შველიძე  
555 23 28 24



ალი ბაბაშვილი:

დღემდე არ მითქვამს, მაგრამ ახლა ღიად ვაძხვავ: პარტიის სერიოზული ნაწილი უნდა ჩაბარდეს!

გვესაუბრება პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ბატონი ალი ბაბაშვილი:

— ბატონო ალი, თქვენ ხართ მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ ძველი გვარდიის წარმომადგენელი, პოლიტსაბჭოს წევრიც ბრძანდებოდით. პარტიის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა, ფაქტობრივად, მოუხმო ძველ გვარდიას. რას ფიქრობთ, როგორ აპირებთ პოლიტიკურ ბრძოლას? — „ქართული ოცნების“ სამოქმედო პროგრამაში, რომლის შედეგადაც მეც მაქვს მონაწილეობა მიღებული და მე, როგორც საქართველოს აზერბაიჯანელმა, მივეცი ჩვენს ხალხს დაპირება, რომ უკეთესი ცხოვრება იქნებოდა.

მე ზურაბიშვილის წინასაარჩევნო პროცესებშიც. მაშინ დამოუკიდებლად, „ქართული ოცნების“ დროშით, დავდიოდი სოფელ-სოფელ და ვხვდებოდი ადამიანებს, რომლებიც ასევე გულნატკენი იყვნენ იმის გამო, რომ „ნაცმოძრაობის“ ყოფილი ზონდერები და სხვა, სისხლიანი რეჟიმის წარმომადგენლები, მერებად, საკრებულოს თავმჯდომარეებად, პარლამენტის დეპუტატებად და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობების პირებად იყვნენ წარმოდგენილი.

ზოგიერთი ჩვენი მხარდამჭერი, ამ უსამართლობის გამო, „ნაცმოძრაობას“ შეუერთდა და ჩვენს წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა.

ვერაფერს ვამბობდი, რადგან ფაქტები უამრავი იყო. ადამიანი, რომელიც 2012 წელს არჩევნების

ბის“ დროს დაწვებული და მათი განხორციელებულიაო. საწუხაროდ, არც პიარსასახურები, არც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები აღარ არიან იმდენად ავტორიტეტულები, რომ შეზდნენ თავიანთ ამომრჩევლებს.

— თუ იცით, რატომ მოხდა ასე?

— ვერ გეტყვით. ამაზე პასუხი უნდა გასცენ იმ ადამიანებმა, რომლებმაც არ გააკეთეს ის, რაც გასაკეთებელი იყო.

ბიუჯეტში გაწერილი პროექტების უმეტესობა არ განხორციელდა, თანხები აუთვისებელი დარჩა.

საბოტაჟის გარდა მე აქ ვერაფერს ვერ ვხედავ.

დღემდე არ მითქვამს, მაგრამ ახლა ღიად ვაძხვავ: პარტიაში სერიოზული რეფორმები უნდა განხორციელდეს.

გულგატეხილი ვიყავი, მაგრამ, რაც ბატონი ბიძინა დაბრუნდა და ახლა ირაკლი ღარიბაშვილიც, ბრძოლის სტიმული მომეცა — ჩვენ შეგვიძლია და გავაკეთებთ იმას, რასაც დაეპირდით ჩვენს ხალხს.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, ამისთვის საჭიროა, მოხდეს პარტიაში სერიოზული რეფორმა. ყველა უნდა დაისაჯოს, ვინც პარტია იმ დონემდე მიიყვანა, რომ ახლა ურთიერთშორის გაუგებრობა, დაძაბულობა და გათიშულობაა.

ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი და კახა კალაძე, ეს სამი ადამიანი არის დღეს „ქართული ოცნების“ გამოკვეთილი ლიდერები, მათ ერთხელ კიდევ უნდა გამოუყვანდოთ თანადგომა ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის. თუ პარტია ძლიერი იქნება, ყველა პრობლემა მოგვარდება.

უახლოეს ხანებში მე და ჩემი თანამოაზრეები მკვეთრ განცხადებას გავაკეთებთ სამომავლო მოქმედებებთან დაკავშირებით.

— ვისთან ერთად აპირებთ ამ განცხადების გაკეთებას, ვინ არიან ის ადამიანები, რომელთან ერთადაც ბრძოლას აპირებთ?

რაც ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა პარტიის ლიდერად, „ქართული ოცნების“ გულშემმატკირებს ახალი იმედი გაგვიჩნდა და მზად ვართ, ძველი ბრძოლა გავაგრძელოთ მეგობრებმა, რომლებიც 2012-დან კი არა, 2007 წლიდან ვებრძოდით ნაციონალ ზონდერ ვითომ პოლიტიკოსებს.

დიდი ბრძოლა დაგვჭირდება იმისთვის, რომ რეგიონებში ჩაბუდეული დეზინფორმატორები განეიტრალოთ, რომლებიც ხალხს არწმუნებდნენ, სააკაშვილი მალე დაბრუნდება და რაც კეთდება, ინფრასტრუქტურული თუ სხვა პროექტები, ყველა „ნაცმოძრაობის“



— ესენი არიან ცნობილი სახეები, „ქართული ოცნების“ დამფუძნებლები.

ჩვენ მოვითხოვთ, ჩატარდეს პარტიის ძველი აქტივისტების კრება და გაირჩეს ყველა საკითხი.

— მაგალითად, ეკა ბესელია და დავით ჭიჭინაძე იქნებიან მაგ შეკრებაზე?

— ჩვენ დავპატიჟებთ. თუ მოვლენ, მოხარული ვიქნებით.

ვევარაუდობ, რომ შეხვედრაზე იქნებიან ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი და კახა კალაძეც. შეხვედრა დახურული ფორმატის იქნება.

მიზნად გვაქვს, პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დაუბრუნოთ ძველი სახე და იმიჯი.

ახლა კოალიციას აკეთებს ეს ე.წ. ოპოზიცია, იგივე „ნაცმოძრაობის“ წიწილები. მათ რომ შეუერთდა ნინო ბურჯანაძე, მე საბოლოოდ დავრწმუნდი, 2003 წელს რომ გადატრიალება მოახდინეს, ის ხალხი აპირებს ისევ დესტაბილიზაციას.

მიკვირს, გუბაზ სანიკიძეს და ნინო ბურჯანაძეს 26 მაისი როგორ დააეწივდათ დღეს ბოკერიას და უგულავას რომ უზიან გვერდით.

— პრეზიდენტი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი აზერბაიჯანულ მხარეს შეხვდა. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს დავით გარეჯი აზერბაიჯანს გადასცა.

როგორ უყურებთ ამ ფაქტს, რას იტყვით ამის შესახებ?

— საქართველოში არიან გარკვეული ძალები, რომლებიც ქვეყნის გარედან ფინანსდებიან და დაინტერესებულნი არიან ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების გაფუჭებით. ისინი ავრცელებენ ინფორმაციებს, თითქოს სალომე ზურაბიშვილმა დავით გარეჯი აზერბაიჯანს აჩუქა.

ეს პროვოკაციაა.

მსგავს პროვოკაციებს აწარმოებს საქართველოში ზოგიერთი ინტერნეტ-საიტი და ჟურნალ-გაზეთი, რომლებიც საზღვარგარეთიდან, ან შესაძლოა, ქვეყნის შიგნიდანაც, ამკარა მტრებისგან ფინანსდებიან — იმეორებენ და ავრცელებენ დეზინფორმაციას — სალომე ზურაბიშვილმა დავით გარეჯი აზერბაიჯანს აჩუქაო.

ახლა ჩვენ, მე და ჩემი თანამოაზრეები, ვაპირებთ პარლამენტს შევთავაზოთ ინიციატივა, დაისაჯოს ყველა, ვინც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგაა და სეპარატისტებს უწყობს ხელს. ეს იქნება ერთგულების ლუსტრაცია — ვინც ამ ინიციატივის წინააღმდეგი იქნება, ის სეპარატისტებს თანაუგრძობს და საქართველოს კეთილდღეობა ოდნავადაც არ აღუღებს.

ირანდა კალანდაკი 593 56 11 18



მე მჯეროდა და მჯერა ბატონი ბიძინა ივანიშვილის დღესაც. პარტია „ქართული ოცნება“ არის ჩემი ოჯახი და მასზე ძალიან შემტკივარა გული.

2013 წელს პარტიაში უკვე იყო 32 000 წევრი. ყველას გვქონდა მიზანი და მოტივაცია, რომ ის ძალია აღარ ყოფილიყო ქართულ პოლიტიკაში, რომელიც 9 წელიწადი უსამართლობას თესავდა, ანადგურებდა ბიზნესს, ატარებდა სასტიკ და სისხლიან რეპრესიებს მოწინააღმდეგე აზრის მქონე მოქალაქეებისადმი, ციხეებში 25 000-მდე პატიმარი იხდიდა სასჯელს უმძიმეს პირობებში და ა. შ.

ვიბრძოდით უდიდესი საფრთხის ქვეშ, თუმცა, რატომღაც, 2012 წლის შემდეგ სრულიად გაურკვეველად, ჩვენი ამომრჩევლისგან და საზოგადოებისგან მოწყვეტილი აღმოვჩნდით.

მიუხედავად იმისა, რომ მე ათეული წლებია, პოლიტიკაში ვარ, პოლიტიკის სპეციალისტიც ვარ, არ მომიტხოვია თანამდებობები და პრივილეგიები. არა ვარ კარიერისტი, არაფერს ვითხოვდი ზედმეტს, ამიტომაც ჩვენს ერთობლივ ბრძოლას მე ყოველთვის ვაგრძელებდი — საპრეზიდენტო არჩევნებისას, საპარლამენტო, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების და ბოლოს, ქალბატონი სალო-



ნათელა მაღლაკელიძე:

# ხალხს, ვინც გართლა იხის გოგებაშვილი და „დედაენა“, დიდი ხანია, აზრს აღარაპინ ეკითხება

2018 წლის ბოლოს პარლამენტის წევრებმა ზაზა გაბუნია და მარიამ ჯაშმა საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივა წარუდგინეს, რომლის მიხედვით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ექსპერტთა საბჭოს მეშვეობით, „დედაენა“ – ქართული საანბანე სახელმძღვანელოს იაკობ გოგებაშვილის იხილულ მეთოდს მოამზადებს და სასწავლო პროცესისთვის დაბეჭდავს.

საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, „დედაენა“ კანონის დონეზე ხელშეუხებელი გახდება. გავრცელებული ინფორმაციით, საკანონმდებლო ცვლილებების მიზანია, „დედაენა“, რომელსაც მინიჭებული აქვს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი, „დაცული იყოს ყოველგვარი ცვლილებებისგან.“

პარლამენტარების ინიციატივას სკეპტიკურად უყურებს გამომცემელთა ნაწილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ საკანონმდებლო ინიციატივა ერთი კონკრეტული გამომცემლის ინტერესების ლობირებისთვის შეიქმნა.

ორი დეპუტატის საკანონმდებლო ინიციატივაზე „საერთო გაზეთს“ თავისი მოსაზრება იაკობ გოგებაშვილის მკვლევარმა და „დედაენის“ ერთ-ერთი შემდგენელმა, განათლების მეცნიერებათა დოქტორმა და ილიას უნივერსიტეტის პროფესორმა ნათელა მაღლაკელიძემ გაუზიარა:



დამოკიდებულება სახელმძღვანელოების მიმართ. მაპატიეთ, მაგრამ როცა ეროვნული სასწავლო გეგმას მივყვები, როგორ შეიძლება სკოლაში მე-19 და მე-20 საუკუნეში გამოცემული წიგნის უცვლელად შეტანა? რა თქმა უნდა, გოგებაშვილის მართლაც ოქროს პრინციპების ლაღატი არ შეიძლება, მაგრამ სახელმძღვანელოს თანამედროვეობასთან ადაპტირება აუცილებელია. სწორედ ამ ადაპტირებას აკეთებდნენ ბოცვაძე, ბურჯანაძე, რამიშვილი და ვაკეთებდი მეც. ამან შემოგვინახა გოგებაშვილი ამდენი წელი. ახლა რა ვქნათ, ყველას ზახი გადაუხვით და მამაოს გადაამუშავებული „დედაენა“ შევიტანოთ სკოლაში იმიტომ, რომ „სხვა ზურგი“ აქვს?

ნელი თორდია  
571 35 36 88

– სპეციალისტები, რომლებმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნეს გოგებაშვილის მემკვიდრეობის კვლევას, პარლამენტის ამ წამოწებაზე უბრალოდ, იღიბებიან. ისინი ფაქტობრივად, არ ერევიან საქმეში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ დიდი ხანია არავინ არაფერს ეკითხება. ეს ხალხი ძირითადად, განათლების აკადემიაშია წარმოდგენილი, რომელიც დღევანდელ ნოვატორებს და რეფორმატორებს სასაცილოდ

ში იცვლებოდა სალიტერატურო ენის ნორმები და განათლების მიდგომები, ევროპაში განათლების მხრივ რევოლუციები ხდებოდა და ეს ყველაფერი ქართულ სინამდვილესთან ადაპტირებით გადამოქონდა. სწორედ ამიტომ 1876 წელს რომ „დედაენა“ გამოსცა, იმის მერე, თავის სიცოცხლეშივე 21-ჯერ საფუძვლიანად გადაამუშავა და 5 ფაქტობრივად, ახალი წიგნი შექმნა. 1906 წელს თავის 21-ე გამოცემას დააწერა – „ყველა

გამოცემულს, 1944 წელს გამოცემულს თუ 1969 წლისას?

– „დედაენის“ სხვა გამოცემებზე რას გვეტყვი?

– 1998 წელს გამომცემლობა „განათლების“ დაკვეთით გადავამუშავე ვალერიან რამიშვილის „დედაენა“ და ახალ პროგრამას მოვარგე. როცა წიგნს „დედაენა“ დავარქვეთ, მხედველობაში გვექონდა ის, რომ ძირითადი პრინციპები, რომლებიც დიდმა იაკობმა დანერგა, უცვლელად უნდა შეგვენარჩუნებინა. ამასთან, ყველანაირად ვეცადეთ, რომ სიახლეები და კლასიკა ერთმანეთისთვის შეგვეხამებინა და საუკეთესო წიგნი მიგვეღო. ეს წიგნი 2005 წლამდე გამოდიოდა. ასე, რომ ჯაშმა და გაბუნია სწორედ ჩემი ან რამიშვილის „დედაენიდან“ ისწავლეს. ჩვენმა სახელმძღვანელომ 2006 წელს „დედაენის“ სახელმძღვანელოების კონკურსზე გაიმარჯვა, გრიფი მიიღო და სკოლაში შევიდა, გრიფი მიიღო 2011 წელსაც. იმაზე, რაც შარშანდელი სახელმძღვანელოების კონკურსზე მოხდა, ჩვენს წინა ინტერვიუში დაწვრილებით გაიამბეთ, ამიტომ ამაზე აღარ ვაგაპანავილებ ვურადლებას. რაც შეეხება „დედაენას“, რომლის შეტანასაც ახლა აპირებენ სკოლებში, მას ლობირებს ჯგუფი, რომელსაც გოგებაშვილის იდეებთან და პედაგოგიკასთან არანაირი საერთო არ აქვს. როგორც ვიცო, 2006 წელს გოგებაშვილის „დედაენა“ ერთ-ერთმა სასულიერო პირმა გადაამუშავა და ამ წიგნის შეტანას ცდილობდა, მაგრამ ყველაზე საინტერესოა, ვის იწვევენ ექსპერტთა საბჭოში? ისევ აღმოსავლეთმცოდნეებს, ლინგვისტებს და ფსიქოლოგებს, რომელთათვის ქართული ენის მეთოდია, როგორც დარგი უცხოა? ამ დროს ხალხს, ვინც მართლა იცოდა გოგებაშვილი დიდი ხანია,



არ ჰყოფნით. რაც შეეხება ზაზა გაბუნიას და მარიამ ჯაშის მიერ წარმოდგენილ საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც სკოლებში „დედაენის“ შეტანას გულისხმობს, საინტერესოა, გაბუნიას და ჯაშს გოგებაშვილის „დედაენა“ ის წიგნი ჰგონიათ, რომლითაც წერა კითხვა ისწავლეს? იციან თუ არა, რომ გოგებაშვილის „დედაენა“ 1921 წლის მერე აღარ გამოცემულა იმიტომ, რომ დღევანდელი მოსწავლეებისთვის ისეთი სიტყვები, როგორცაა სტოლი, სტაქანი, კრესლო და ა.შ. სრულიად გაუგებარია, ამიტომ ახალი მოთხოვნებისა და რეალობის პირობებში „დედაენის“ იმ სახით გამოყენება, რა სახითაც დიდმა პედაგოგმა დაგვიტოვა, შეუძლებელია.

– არადა, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება იმიტომ ხდება, რომ „დედაენა“ რომელსაც მინიჭებული აქვს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი, დაცული იყოს ყოველგვარი ცვლილებებისგან..

– სახელმძღვანელო მუდმივი განახლების რეჟიმში უნდა იყოს, რაც იაკობ გოგებაშვილმა ჩვენზე უკეთ იცოდა, რადგან თავისი დროის უდიდესი რეფორმატორი გახლდათ. დროთა განმავლობა-

სარწმუნოების ქართველთათვის“, რაც გულისხმობდა, რომ სახელმძღვანელო მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო განტვირთული სარწმუნოებრივი მასალისგან. მეტსაც გეტყვით, საანალიზო სიტყვათა რიგიდან სიტყვა ღორის ამოღებასაც კი აპირებდნენ იმიტომ, რომ ღორი მუსულმანებისთვის უწმინდური ცხოველიაო. გოგებაშვილი თავისი „დედაენის“ ადრინდელი გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა, რომ საქართველოში ქართულად წერა-კითხვას მარტო მართლმადიდებელი ბავშვები კი არა, კათოლიკე ქართველები, ებრაელი ქართველები და მუსულმანი ქართველებიც სწავლობენ, ამიტომ სახელმძღვანელო ყველასთვის მისაღები უნდა იყოსო. წინასიტყვაობაში მასწავლებლებს გვთხოვდა, ნუ გადატვირთავთ წიგნს ლოცვებით, იმიტომ, რომ არაფერი არ ამუშავებს ბავშვს სარწმუნოებას ისე, როგორც ადრეულ ასაკში უაზროდ დაზეპირებული ლოცვებით.

1969 წლიდან 1980 წლამდე 2 „დედაენა“ გვექონდა: ბოცვაძე-ბურჯანაძის და ვალერიან რამიშვილის. ამიტომ როცა ამბობენ გოგებაშვილის „დედაენა“ დაგვიბრუნეთო, უნდა დააკონკრეტონ რომელს გულისხმობენ 1912 წელს



# სელისუფლაბაა უნდა გადაარჩინოს მწერლობა და მწერლობა გადაარჩინს ერს

## საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის მისიისა და მწერლობის ირგვლივ შექმნილი ვითარებისთვის ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს



ბატონო ბიძინა, მოგაწოდებთ გარკვეულ ინფორმაციას მწერალთა ეროვნული აკადემიის დაარსებისა და ამ იდეის შესახებ, აგრეთვე, მწერლობის ირგვლივ შექმნილი ანომალური ვითარების განმარტებისთვისაც.

მწერალთა ეროვნული აკადემია იმ მწიგნობართა სკოლებისა და აკადემიების ღირსეული სამართალ მემკვიდრეა, რომლებიც ბრწყინვალედ და არსებობდნენ ისტორიულ დროში, ფარნავაზის, დავითის თუ თამარის ეპოქებში და სახელმწიფოს მორალს და იდეოლოგიას ქმნიდნენ...

ხაზგასმით აღვნიშნავ: არც ერთ ქვეყანაში მწერლობა ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში არ არის, როგორც აქ რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას სამშობლოში, სადაც სიტყვა და პოეზია ზეობდა და იყო ერის დაცვისა და გადარჩენის ჯავშანი — “ვეფხისტყაოსნის” გმირები იცავდნენ საუკუნეებში ერის ზნეობრივ და მატერიალურ სივრცეს!

ილია ჭავჭავაძემ და მისმა ბრწყინვალე სამწერლო ელიტამ გამოიყვანა XIX საუკუნის საქართველო ჯოჯოხეთიდან და შემოიყვანა XX–XXI საუკუნეებში.

ჩვენდა სავალალოდ, დღევანდელი ქართული მწერლობა ჩარჩენილია სააკაშვილის მიერ შექმნილ “სტატუს კვოს” ჭკობში, წარტყეული საარსებო სივრცით და ღირსებით, რომელიც ვერ აღგვიდგინა “ქართულმა ოცნებამ”.

ხელისუფლებას დაკარგული აქვს გზა მწერლობისკენ — ერი და სახელმწიფო აღმოჩნდა უმწერლო სივრცეში (ვაკუუმი) და სააკაშვილის და რურუას დანატოვარი მედროვე ულტრალიბერალისტი მოროდიორების ხელში.

ამდენად, ანტიეროვნული, ფსევდო პატრიოტული, სექტანტური ტელემუწყებლობისა და არასამთავრობოების დივერსიებით, ანუ “გამოხატვის თავისუფლებით” ერი (და სახელმწიფოც) იღუპება. ჩვენ აღმოვჩნდით უმორალო

დროში და ვითარებაში, მწერლობა გაქვევებულ ქვეყანაში. ეს ვითარება უნდა დასრულდეს (და შეიცვალოს), ბატონო ბიძინა!

თუ ამას ვერ შევძლებთ, ვერც ვერაფერს სხვას ვერ შევძლებთ, რადგან ეს არის ერის არსებობის (იდვის) თავი და ბოლო, „ანი“ და „პოე“!

მწერალთა ეროვნული აკადემიის მიზანია, ხელი შეუწყოს მწერლობას ჩადგეს ქვეყნისა და ერის სამსახურში და თავისი წვლილი შეიტანოს ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში. აკადემიამ უნდა დაიბრუნოს და აღადგინოს მანაბლის 13-ში სააკაშვილის ცენტურიონების მიერ წაგლეჯილი მწერალთა მემორიალური ისტორიული შენობა და შეძლოს უნიკალური ბიბლიოთეკის, არქივის, ისტორიული ნივთების და რელიკვიების აღდგენა-გადარჩენა, ზოგადად მწერალთა სახლისთვის, მისი შიდა ინტერიერისთვის, ბაღისთვის და ა.შ. ძველი შემოქმედებითი მისიის (ფუნქციის) დაბრუნება! სამარცხვინოა ამ დიდ მწერალთა სახლის “ბაკქანალიზაცია” და მისთვის ნებისმიერი სხვა ფუნქციის მიცემა.

ჩვენ აკადემიის სახელით დავაფუძნებთ “პროფესიონალ მწერალთა დაცვის ფონდი” (თუმცა ვერ მხოლოდ ქაღალდზე). ხელისუფლებამ მას როგორმე უნდა მიანიჭოს სახელმწიფო სტატუსი და ამ ფონდში განათლებისა და კულტურის აღორძინების პროგრამიდან (სახსრებიდან) შეიტანოს რაღაც მიზეზური თანხა და აგრეთვე, მისცეს მწერალური მემკვიდრეობიდან მიღებული შემოსავლის რაღაც პროცენტი, რომ ჩვენ შევძლოთ გაჭირვებული, ავადმყოფი და ასაკში შესული, ყოველგვარ შემწეობას მოკლებული მწერლებისთვის მხარში დგომა და დახმარება ჭირსა თუ ლხინში, აღარაფერს ვამბობ მათი შემოქმედების დაუცველობაზე.

ჩვენი, ქართველი მწერლები, არა ერთი ბრწყინვალე პროზაული

თუ პოეტური შედეგის ავტორნი, 60–70–80-იანი წლების ნოვაციების, ფაქტობრივად, ახალი ქართული ლიტერატურისა და კინოს რენესანსის შემქმნელნი, აღშფოთებულნი და სახტად დარჩენილი ვხედავდით: თუ როგორ აბითურებდნენ საკუთარ სახელმწიფოს და მის კულტურას ფრანკფურტის წიგნის ბიენალეზე წარგზავნილი, საკუთარი დედისა და სამშობლოს მაგინებელი ხლისტები და მედროვე მოროდიორები, რომლებიც სააკაშვილმა და რურუამ მწერლობის ადგილზე ჩავეციტოვეს და „სოლომონის მკვდარივით“ ყველგან წინ გვხვდებოდნენ...

„ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოგვაშორა ეს „ბღერი“, რომელიც კულტურულ საზოგადოებას ღორის ჭირივით მოუხდელ სახადად ექცა.

აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ და აკადემიის მწერალთა დარბაზის სახელით, რამდენიმე არსებით და შესრულებად მოთხოვნას (და თხოვნას) დავაყენებ ხელისუფლების წინაშე:

1. დაუბრუნეთ ქართულ მწერლობას სააკაშვილის ბარბაროსული ძალადობით წაგლეჯილი სახლი (ოფისი) მანაბლის 13-ში.

2. ხელისუფლებას ვთხოვთ, მწერალთა ეროვნულ აკადემიას აღუდგინოს ის მცირე დაფინანსება, რომელიც რატომღაც შეგვიწყვიტეს: სულ რაღაც 25 000 ლარი თვეში — ერთი ბიუროკრატის საშუალო ხელფასი!

ჩვენ ამ მიზეზური დაფინანსებით შევძლებთ დიდი საქმის (და იდეების) განხორციელებას: აკადემიის სამდივნოს, მწერლების არქივის, ბიბლიოთეკის აღდგენას, აკადემიის „ტრადიციათა ცოდნი კათედრის“, სამწერლო კურსების და რეგიონული ფილიალების ამოქმედებას, აკადემიის სამწერლო-საინფორმაციო-კრიტიკულ-ანალიტიკური მატინის ბეჭდვას.

სენტენციის სახით ვიტყვით: ხელისუფლებამ უნდა გადაარჩინოს მწერლობა და მწერლობა

გადაარჩენს ერს: ეს არის ერთადერთი პარადიგმული ხსნის ფორმულა!

ბატონო ბიძინა! მწერალთა ეროვნული აკადემიისთვის მაღალი სტატუსის მინიჭება იქნება გარდევება თქვენს პოლიტიკაში და მან შეიძლება ბევრი რამ შეცვალოს. თუ რატომ და როგორ, ეს ცალკე თემაა და გარკვეულ საიდუმლო ქვეტექსტს შეიცავს.

სკეპტიკოსების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩვენი ხელისუფლება ამას არ გააკეთებს: ის არ დააბრუნებს მწერლობას მასონურ-ლიბერალისტული ძალადობის შიშით.

მწერალთა ეროვნული, ელიტური ნაწილი ასე არ ფიქრობს: ისინი მიიჩნევენ, რომ ბოლოს და ბოლოს, მიწიერი და ღვთიური ძალების შეერთებით და ქართული სიტყვის სინერგიით შეძლებენ ხელისუფლების და ერის აყვანას „ლაშარის გორზე“, ისინი დააბრუნებენ ქვეყანას მორალურ სივრცეში!

დასასრულს მინდა ვთქვა: ნუ ჩაერჩებით ამნაირ სირცხვილში, როდესაც ჩამოსული სტუმარი კოლეგა მწერლები ისრაელიდან, თუ სხვა ქვეყნებიდან სიბრაღურით და გაკვირვებით გვიფურებენ საკუთარი ოფისებიდან (და სამშობლოდანაც) აყრილ მწერლებს ერთმანეთის და საკუთარი მისამართები რომ გვაქვს დაკარგული.

ხოლო აზერბაიჯანელებმა ასეთი რამ შემოგვთავაზეს: დაწერეთ, ძებო, განცხადება აკადემიის სახელით ალიევის სახელზე და ქართველ მწერლებს ის უეჭველად ავიშენებთ სახლს თბილისში, დავით აღმაშენებელი ხომ უშენებდა აღმოსავლელ პოეტებს მედრესეებსო!

ნახეთ, რა შემოთავაზებაა! რა

დრამატული, ტრაგიკომიკური ვითარებაა!

ეს ვითარება აღარ ტოვებს ადგილს “მეტაფორული ღიმილისთვის!”

თავის დროზე (XIX ს.) მწერალთა სამისიონერო ჯგუფებისა და „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ შექმნამ რადიკალურად შეცვალა ერის ბედისწერული ვითარება.

მთავარი ჭეშმარიტება სამშობლო და ერია. მისი გამოღვივება და გადარჩენა მხოლოდ სიტყვას და სიტყვის ქურუმს შეუძლია და არა ვინმე სხვას.

ქართველი ერი შოკირებული და ზომბირებულია ახალი საუკუნის პოლიტიკური, მორალური და (ეკონომიკური) მატერიალური დივერსიებით, ანტიქრისტიანული სექტანტურ-სატანისტური ძალადობით. საზოგადოებაში დაიკარგა მორალი და ზნეობრივი გმირის ფენომენი. დაუფოვნებლად საჭიროა მწერალთა პილიგრიმული ლევიონების შეშვება დაზიანებული სულიერი სივრცის გასამრთელებლად, სიტყვის სალბუნის დასადებად.

როგორც მკურნალის შესვლა „ჟამიან თემში“ (ქოლერიან სოფელში), მწერლის მისია ასეთივე უნდა იყოს.

პატივისცემით და იმედით:

**კობა არაბული**  
მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი



# ამათ ხელში, მაგულო,



### ოლრაშვილი

ალბათ უკვე გაიგეთ, ბიჭები „დაიცავი საქართველოს“ აღორძინებას რომ აპირებენ. რამდენიმე დღის წინ „ტვ პირველის“ ეთერში პოეტი დავით მალრაძე გამოიყვანეს და მაგან თქვა თავისივე პირით, პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული ჩემში ისეა სისხლხორცულად გამჯდარი, ვერანაირი ახლობლობა და ბიძინა ივანიშვილის მამულიშვილობა ვერ გადაფარავსო. არა, მოქალაქე ივანიშვილს დიდ პატივს ვცემ, რაც გააკეთა, მადლობას ვუხდის, მაგრამ პოლიტიკოსი ივანიშვილი უნდა წავიდესო. თან დააყოლა, ამ ადამიანთან ისეთი არაფერი მაკავშირებს, თავიდანვე მისი თხოვნით შევხვდიო. ინგა გრიგოლია ჩაეკითხა, მართლაც? ჰო, მართლაც, მე საერთოდ ვცდილობ, არავის ნავში არ ჩავხტე, მით უმეტეს, მმართველის ნავშიო. ბატონმა მალრაძემ ისე წარმოაჩინა საკუთარი თავი, გეგონება ეგ კი არა, მე ვიყავი ყველა ხელისუფლების სათავეებთან, გეგონება მე ვიყავი

ვი 1999–2002 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი „მოქალაქეობრიდან“, გეგონება მე ვიყავი მანამდე (1992–1995 წლებში) კულტურის მინისტრი და გეგონება მე დავეუწვრე, უფრო სწორად, მე „გადმოვუყაკავე“ საქართველოს ჰიმნი მიხა სააკაშვილს 2004-ში თუ 2005-ში. იყო დრო, ბატონი მალრაძე ბიძინა ივანიშვილთან ახლობლობითაც ამყობდა, მაგრამ როგორც ჩანს, ეს უკვე სამარცხვინო გახდა და ამიტომაც ამტკიცებს, ისეთი არაფერი მაკავშირებს, მისივე თხოვნით შევხვდი ერთხელო. ისე, რაღა დაგიმალეთ და... ავი ენები ამბობენ, ამან (ბიძინამ) იმას (დათოს) წინანდალში იმნაირი სახლი აუშენა, ჭავჭავაძეების სასახლე მასთან შედარებით ქოხად გამოიყურებაო. ვიმეორებ – ასე ამბობენ, მე პირადად არ მინახავს. სხვა რაღაცებსაც ამბობენ, მაგრამ ჯერ ვერაფერს ვიტყვი, ესენი იმნაირი ოღრამები არიან, თვითონ გაამჟღავნებენ წარსულ ვნებებს, რა, ჭკუა დაუშლით, გონება თუ სინდის-



ნამუსი? გამოვლენ და იტყვიან: ჰო, ბიძინამ დიდი პატივი გვცა, დიდი საქმეები გააკეთა, მაგრამ ეს პოლიტიკაა, ხალხო, აბა, როგორ გინდათო? ჰმ... მოგიტ... ანთ პოლიტიკა და კაცობა!

ერთი... რა მაგის პასუხია და... უცებ „რესპუბლიკელი“ დავით ზურაბიშვილი გამახსენდა: როდესაც ეს უჯიშოები კოალიციაში იყვნენ და ბიძინა ივანიშვილს მუხლებს უკოცნიდნენ, ამას (ბიძინას) გაუგია, ზურაბიშვილს კიბო სჭირს, კვდებაო. შეშფოთებულა, დალაპარაკებია, შე კაცო, ფული პრობლემა არ არი, გაგიშვებ გერმანიაში და გიმკურნალებო, მგონი ვალეებიც გქონია, იმასაც დაგიფარავო. კაიო, უთქვამს ამას (დავითს) და გადარჩა, წავიდა, იმკურნალა, 150 ათასი დოლარი დაიხარჯა. მოვიდა ჯანზე ზურა-

დევ გამოდინარო? პასუხი არ გაინტერესებთ? ეგ რა შუაშია, პოლიტიკა და სამშობლო სულ სხვა გაგებას ითხოვს, მე როდის ვუთხარი, რომ გადავერჩინეო? ჰა, ჰა, ჰა... ხედავთ? ეს იგივეა, როგორც ერთ სიმღერაშია – თუ გამაჩინე, ბარემ მარჩინე, შენთვის გაჩენა არ მითხოვია... საყვარელო, ტკბილო, დედიიი!

უნამუსო ზურაბიშვილი იქით იყოს... მალრაძის შემდეგ „ტვ პირველის“ ეთერში პატარა „გრეჩინა“ (გია გაჩეჩილაძე) გამოჩნდა. აბა, ესა ყოფილა, აი! მოკლედო, „დაიცავი საქართველო“ უნდა ავალროძინოთ, ბიძინა ივანიშვილი ნათესავია, ჩემი შვილი იმისი შვილის ნათლიაა, მის წინაშე მორალური ვალდებულებებიც გამაჩნია, მაგრამ როცა ქვეყანა დასაცავი, სხვა სიმაღლეებზე უნდა გავიდეთო.

ნორმალური იქნებოდა, მაგრამ არც ეგ გამოდგაო, ვერ ივარგაო. რათაო? – ჩაეკითხა ინგა. ძან მაგარი პროექტები გვქონდა, მერაში შევიტანეთ და არც კი დაგვირეკესო. რა მაგარი პროექტებიო? მაგალითად, სოლოლაკში ორსართულიანი თბილისის აშენება გვინდოდაო... კიდევ ისაო, შუშის ხიდი უნდა გადაგვეხურა ბალახით, ანუ მწვანე საფარითო. ალბათ, ხვდებით, ეს ის „ტუფტა“ პროექტებია, სადაც კი თანხები იჭრება. ყოჩაღ, კალაძე, რომ არ დაურეკე, თორემ მეორე სართულზე თბილისს რომ ააშენებდნენ, მერე მესამე და მეოთხე სართულებსაც მოითხოვდნენ, ოღონდ ვაკეში. მერე მოგადგებოდნენ, შუშის ხიდის სახურავზე ბალახი დაჭკნა, არ გაამართლა, ლეღვის ფოთლით უნდა გადავხუროთო.



ბიშვილი, ბეწვიც დაიბწკვინა, მივიდა აქუსთან და დაუწყო ამას (ბიძინას) ლანძღვა – არაფორმალური მმართველია, სისულელებს აკეთებს, უნდა წავიდესო. მეტიც, ეს ჩემისა, საპრეზიდენტო არჩევნებისას გრიგოლ ვაშაძეს ჩამოუჯდა მაგიდასთან. მანამდე შალვა რამიშვილის ინტერვიუ ვნახე ზურაბიშვილთან, ეს (შალვა) ეკითხება: დავით, როგორ ახერხებ, რომ ასედაც თამაშობ და ისედაც, ანუ კაცმა გადაგარჩინა, სიკვდილისგან გიხსნა და მერე მის წინააღმ-

ახლა რომ წამოვიძახო, მოგიტ... ანთ სიმაღლეები-მეთქი, უზრდელი ვიქნები?!

ჰოდა, იმას ვამბობდი... „გრეჩინა“ მიედო, მოედო, ესაო, ისაო, მამული, ენა და სარწმუნოებაო... ბიძინას ჩახვეული აქვს, რომ იტყვის, გადათქმა აღარ იცის, როგორმე უკან უნდა დავახვეინოთო. პრემიერ-მინისტრი „ნე რიბა, ნე მიასაა“-ო, პარლამენტის თავმჯდომარე გრძელთმიანი „მიასაა“-ო. კახა კალაძე როგორიაო? – ჰკითხა ინგა გრიგოლიამ. თავიდან მეგონა, რომ

კიდევ ერთიო, – ისევე ეკითხება ინგა: ვისგან აპირებთ საქართველოს დაცვასო? რა ვიცის, დასაცავია და უნდა დავიცვათო. ვისგან, ბიძინა ივანიშვილისგანო? რა ვიცის... აისერიო, მისერიო, მისერიო... თუნდაცო. ვაიმეეე... ღმერთო, გემუდარები, თუ ოდესმე პოლიტიკაში შემათრევე, ეგრე ნუ გამომაყ...ევებ და ნამუსს ნუ წამიბილწავ, რააა.

შენ კი, მამულო, საყვარელო, ამათ ხელში ჩემ ფეხებს აყვავდები!



# ჩემი ფეხებს აყვავდება!



## ყარაული

საქართველოში ჩვევად და წესად იქცა, ადამიანები იმ ჭა-ში აფურთხებენ, საიდანაც ცოტა ხნის წყალს სვამდნენ და თან ამტკიცებდნენ, ეს წყალი ნაკურთხი გახლავთო. რაღა ბევრი გავაგრძელო და ერთი ასეთი ბატონი ზვიად კვაჭანტირაძე მგონია, ცოტა ხნის წინ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი რომ იყო და ბიძინა ივანიშვილს დილა-საღამოს სანთელს უნთებდა. როცა ეკა ბესელიამ მოსამართლეებთან დაკავშირებით სკანდალი ასწია და უმრავლესობიდან წამოვიდა, კვაჭანტირაძემაც მოინდომა „განწმენდა“, ვერც კი მოითმინა, სალომე ზურაბიშვილს ახლდა ბაქოში და იქიდან განგვიცხადა (გულეები დაგვიხეთქა), მეც მივიღივარო. კაცო, წადი, კარი დიაა, განა რამე, მაგრამ წასვლის შემდეგ რომ შემობრუნდები და სისულელეებს ლაპარაკობ, მე პირადად ვიბნევი, გული მიტყდება, აღარ ვიცი, ვის ვენდო და ვის დაგუჯერო. მოკლედ, წასულმა კვაჭანტირაძემ თქვა, აივანზე რომ გამოვედი, ისე თავისუფლად ვსუნთქავდი, მარსზე გაფრენაც კი აღარ მეზარებო. ეგ კიდევ არაფერი, ეზოში ყოველ დღით ძაღლს ვასეირნებ ხოლმე და სახტად დავრჩი, მეზობლები სულ სხვანაირად მესაუბრებენ, სულ სხვანაირად მილიმიან და თქვენ წარმოიდგინეთ, ხელსაც კი სხვანაირად მართმევენ, უფრო თბილად, ნაზად და საყვარლად. მე მივწერე, ბატონო ზვიად, მოდით, „ქართულმა ოცნებამ“ სადებუტატო მანდატი რომ ჩაგახუტათ, ბარემ ეგეც დადეთ და შეიძლება მეზობლებმა მალარიჩი იკისრონ-მეთქი. არ მიპასუხა. იცის, რომ მიპასუხოს, შეიძლება

ჭკუიდან გადავიყვანო. აეგეთი „დამპალი“ ვარ, სასტიკად ვერ ვიტან მედროვეებს. სხვათა შორის, როცა კვაჭანტირაძე პარლამენტში ბიძინა ივანიშვილის წყალობით შევიდა, მაშინ ერთი უცნაური ჰობი მქონდა – ჩავუჯდებოდი ხოლმე პარლამენტარების ბიოგრაფიებს და ამომქონდა ხოლმე იქიდან ბევრი სისულელე, ზოგს რა უცნაურობა ეწერა, ზოგს – რა. პოდა, ამას თავის ბიოგრაფიაში ჩაუწერია, რომ უხსოვარ დროში, 1980-იან წლებში მუშაობდა იაროსლავის საავადმყოფოს დარაჯად. ნუ, ეხლა არც ერთი პროფესია და სამუშაო არ არის სათაკილო, ვენაცვალე ყველა დარაჯს, მაგრამ ერთ-ერთი გაზეთის საშუალებით მაინც ვუსაყვედურე, რა იყო, შე კაცო, „ნაციონალები“ თავიანთი ბიოგრაფიებიდან იმასაც კი იღებენ, „ნაციონალები“ რომ იყვნენ (იმხანად ბევრმა ამოიღო), რა გჭირს, შენ კიდევ პირდაპირ „ყარაული“ ჩაწერე-მეთქი? როგორც მითხრეს, თურმე დადიოდა პარ-



განმავლობაში რეიზა შეაკალი თავი მეტყველების დახვეწას? რავი, მეტყველების გამოსწორებისა არაფერი გეტყობა და... თუ გინდა, მასწავლებელს დავაბრალე.

მოკლედ, ადამიანი, რომელიც ბიძინა ივანიშვილთან სურათის გადაღებაზე ოცნებობდა და სადაც დაინახავდა, გვერდით ამოუდგებოდა, ან გვერდით მიუჯდებოდა ხოლმე, დღეს აცხადებს, უბიძინოდ ძალიან ბედნიერი გახლავართო, მეზობლები სულ სხვანაირად მესაუბრებენ.

მამულო, საყვარელო, გიმეორებ, ასეთი დებუტატების ხელში ჩემ ფეხებს აყვავდება!

## ბოზიშვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ტიპი. ადრეც ტიპობდა, შევარდნადის ეპოქაშიც და ახლაც ტიპობს, ლამის ყოველდღე დაატარებენ ტელევიზიიდან ტელევიზიაში და ჭკუას ეკითხებიან, პოლიტიკურ პროცესებს აანალი-



ზებინებენ, მორალზე ალაპარაკებენ. ეს ტიპი ძაან მაგრად ნაცობს და ანცობს. შევარდნადის პერიოდშიც ანცობდა – თანამდებობის პირებთან კაბინეტებში თავხედურად შედიოდა, „მინაურულად“ ჩამოუჯდებოდა და პირდაპირ მიახლიდა ხოლმე: ბატონო იმანო, მე თქვენზე კომპრომატები მაქვს, რასაც გეტყვით, თუ არ გამიკეთებთ, გამოვაქვეყნებო. მართლა რამე კი არ ჰქონდა, უბრალოდ ტაქტიკა შეიმუშავა ეგეთი.

ბევრი წამოეგო ამ ბოზიშვილის ანკესზე, ჩინოვნიკები ფიქრობდნენ, სად რა გვაქვს მიქარული, აღარ გვახსოვს, ამ ჩვენის გადანგრეულმა ემანდ არაფერი გამოქავეყნოსო – ზოგმა ტელეფონი დაუდგა (მაშინ ტელეფონის დადგმა დიდი რამე იყო), ზოგმა პარკეტი დაუგო, ზოგმა

ფული „აჩუქა“, ზოგმა კედლები გაულესა, ზოგმა ავეჯი უყიდა და ამასობაში მოხდა კიდევ ვარდების ე.წ. რევოლუცია, ძალაუფლება მისნაირმა „პრამშმანდოვკებმა“ ჩაიგდეს ხელში. პოდა, ეს ტიპი ისე გაჯეჯილდა, მეტი არ იქნება, ზოგს რა დააწერა, ზოგს – რა, ვისაც თვალი დაადგა, ყველა გაყვლიფა, ყველას სისხლი გამოწოვა.

პოდა, იმას ვამბობდი... ტიპი ისევე ტიპობს, წვერიც მოუშვა (ადრე უწვევროდ დადიოდა), სულ ტელევიზორში ზის და სიყვარულზე ქადაგებს, ოღონდ ბიძინა ივანიშვილის ლანძღვას რომ მორჩება ხოლმე, მერე. მისი ბედნიერების წყარო და სიყვარულის ნავსაყუდელი „ნაცმოძრაობა“.

მე და ჩემნაირებმა კი ვიცით, რა ბოზიშვილიც ბრძანდება, მაგრამ ისეთი გამომეტყველებას მიიღებს ხოლმე, გეგონება ბუზი არ აუფრენია საკუთარი ცხვირიდან. ესენიც, ეს ტელეჟურნალისტებიც უსმენენ სასოებით და

უსვამენ შეკითხვებს, მასში ხედავენ თანამედროვე ციციკრონს. ამ დროს მგონია, რომ ისინი ერთნაირი სირთაოვნები არიან... და რას ჰქვია, მგონია? ნამდვილად არიან!

ამ ტიპის ვინაობას, რომელიც თანამდებობის პირებს აშანტაჟებდა, არ გავამყდევინებ, კი მინახავს საკუთარი თვალით რაღაც-რაღაცები, მაგრამ იმ პერიოდში ტექნიკა ასე არ იყო განვითარებული და რომც ყოფილიყო, ფარულ ჩაწერას არ „განვაზორციელებდი“, რადგან მაინც არაკაცობა მგონია.

მოკლედ... ასეთების ხელში, მამულო, საყვარელო, ჩემ ფეხებს აყვავდება!

ბელა ზაფხიაშვილი  
555 48 48 61



სამყარო ახალი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, რომელიც ფაშისმის გამოვლინებაში გამოიხატება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ამას უკვე დაემატა აფიქსირებენ განვითარებული ქვეყნების პოლიტოლოგები. შიშის საფუძველს მათ გასულ კვირას ახალ ზელანდიაში განხორციელებული სისხლიანი ტერაქტი აძლევთ. ახალ ზელანდიას ტურისტები „წყნარ სამოთხედაც“ მოიხსენიებენ, რომელიც გასულ კვირას, ფაქტობრივად, ჯოჯოხეთად იქცა. პარაკვეის ლოცვისას ორ მეჩეთში შევარდა ტერორისტი და სხვადასხვა, რამდენიმე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით 50 ადამიანი მოკლა, ოთხი ათეული დაიჭრა. მათგან 11 ადამიანის მდგომარეობას ექიმები კრიტიკულად აფასებენ (ერთ-ერთი დაჭრილი საავადმყოფოში უკვე გარდაიცვალა).

როგორ ჩაჯდა მანქანაში, სადაც მუსიკას უსმენდა და როგორ გაემართა დანაშაულის ადგილისკენ. მართლაც საშინელი სანახავი იყო თუ როგორ უსწორდებოდა უიარაღო ადამიანებს მეჩეთებში თუ ქუჩაში... დამნაშავე პოლიციამ თითქმის 40 წუთის შემდეგ დააკავა. მასთან ერთად კიდევ 3 ადამიანი დააკავეს, მათ შორის ერთი ქალია. საინტერესოა, რომ ტარენს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა არც კი უცდია, რითიც სიცოცხლე შეინარჩუნა.

ექსპერტები საგანგაშოდ მიიჩნევენ იმ გარემოებასაც, რომ

რი ჰქონდაო. გამოძიება უკვე დაიწყო, იმედია, უფრო მეტს მისი დასრულების შემდეგ გავიგებთ. თუმცა, რევანსიზმი მუსლიმები უკვე იმუქრებიან შურისძიებით. სწორედ ეს გარემოება აზინებთ ექსპერტებს, რომლებიც არ გამოირიცხავენ, რომ ახალი ზელანდიის ტერაქტს ექნება გაგრძელება. მართლაც, სპონტანურად მოქმედი ტერორისტის გაშვება რთულიაო, აცხადებენ. გერმანიის დაზვერვის ინფორმაციით კი მათ ქვეყანაში სულ მცირე, 4 ათასი ტერორისტია დევნილის სტატუსით. მართლაც დამაფიქრებელია,



# „ჯოჯოხეთი, წყნარ სამოთხეში“



ახალ ზელანდიაში ტერორისტული აქტის შემოქმედი ავსტრალიის მოქალაქე 28 წლის ვინმე ბრენტონ ტარენია. იგი არაფრით გამოირჩეოდა, მუშაობდა ფიტნესის მწვრთნელად. რამდენიმე წლის წინ იმოგზაურა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. როგორც ირკვევა, იბრძოდა უკრაინაში დონბასელი ამოხეხულების წინააღმდეგ ქართველი ლეგიონერების გვერდით. საინტერესოა, საქართველოს მოქალაქეები ვინ და რატომ, ვისი დაავლებით მონაწილეობენ სხვა ქვეყნის სამოქალაქო ომში რომელიმე მხარეს.

საშინელება ტარენმა განსაკუთრებული ცინიზმით შეგნებულად ჩაიდინა. ვიდრე ტერორისტულ აქტს განახორციელებდა, 70-გვერდიანი რაღაც მანიფესტი გამოაქვეყნა სოციალურ ქსელში, სადაც დააანონსა, რომ აპირებდა მუსულმანებზე შეტევას. ამასთან, შეეცადა, აეხსნა თავდასხმის მიზეზები. ავსტრალიიდან ახალ ზელანდიაში იგი ტერაქტამდე ოთხი დღით ადრე ჩავიდა. შეტევის დაწყებამდე თავად დაიმაგრა ვიდეოთავალი, ჩაერთო სოციალურ ქსელში და პირდაპირ ეთერში გადასცემდა თავის მოქმედებას. კადრებში კარგად ჩანს მისი სახე, რომლის დამალვა არც უფიქრია,

ვინ არიან ჩვენთან, საქართველოში შემოსულები, რომლებსაც უკვე თავიანთი „ბირჟები“ აქვთ თბილისის ცენტრალურ უბნებშიც კი.

კვლავ უხდება ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დონალდ ტრამპს მოწინააღმდეგეებთან. კონგრესის რეზოლუციას, გაუქმდეს სამხრეთის შტატებში საგანგებო მდგომარეობა, ტრამპმა ვეტო დაადო. დაძლევეს თუ არა კონგრესი ვეტოს, 10 დღეში გამოჩნდება, როდესაც ზელანდია განიხილავენ საკითხს. დონალდ ტრამპს მექსიკის საზღვართან კედლის მშენებლობა აუცილებელ პირობად მიაჩნია. მისი განცხადებით, მხოლოდ გასულ თვეში აშშ-ში 76 ათასი არაღებული შესულა. „...ჩვენ არ ვიცით, რა ხალხი შემოდის, ვინ არის მათ შორის არასაიმედო პირი. ქვეყანაში უამრავი რაოდენობით ნარკოტიკი შემოაქვთ“ — განაცხადა ტრამპმა. აქვე აღსანიშნავია, რომ დონალდ ტრამპის მოწინააღმდეგეებმა, მათ შორის დემოკრატიული პარტიის წევრებმა, ახალ ზელანდიაში მომხდარ ტერაქტში ტრამპი დადანაშაულებს მიგრანტებთან მისი დამოკიდებულების გამო. უნდა ვაღიაროთ, მართალია, ტრამპს ახასიათებს მკვასე გამონათქვამები, მაგრამ არასოდეს წახალისებია რომელიმე ტერაქტი. თუმცა, მისი დისკრედიტაციისთვის არაფერს ერიდებათ.

ავიაკატასტროფამ, რომელიც ეთიოპიაში მოხდა და 157 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, შესაძლოა, აშშ-ის ეკონომიკას მიაყენოს

დარტყმა. როგორც ირკვევა, მოდერნიზებული „ბონგ-737-მაქსი“ იმედებს ვერ ამართლებს. ეთიოპიის გარდა 4 თვის წინ ამავე ტიპის თვითმფრინავმა ინდონეზიაში განიცადა კატასტროფა, სადაც 189 ადამიანი დაიღუპა. ორივე მანქანა სრულიად ახალი იყო, რომლებიც აფრენიდან რამდენიმე წუთში ჩამოვარდნენ. პილოტები მოდერნიზებული თვითმფრინავით უკმაყოფილონი არიან. მათი განცხადებით, მანქანა ახალი კომპიუტერული დანადგარების გამო ხშირად უმართავი ხდება. ამიტომაც მსოფლიოს ქვეყნებმა, მათ შორის, აშშ-მა, დროებით შეაჩერეს „ბონგ-737-მაქსის“ ექსპლოატაცია. აღსანიშნავია, რომ კონცერნი „ბონგი“ აშშ-ის მთავარი ექსპორტიორია, ძირითადად მისი მომსახურებით სარგებლობს პენტაგონიც. ამასთან, „ბონგს“ 5 ათასი სამგზავრო თვითმფრინავის შეკვეთა აქვს სხვადასხვა ქვეყნებიდან, გარდა ამისა ჩაშლის შედეგად შესაძლოა, იზარალოს როგორც კონცერნმა, ასევე აშშ-ის ბიუჯეტმა.

მოლაპარაკებების გაგრძელებაზე უარი კიდევ ერთხელ თქვეს გასულ კვირას ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროში. მიზეზები ცნობილია, ამიტომ ჩამოთვლით არ მოგაცდენთ. აშშ-ის ექსპერტები კორეელთა ასეთ მკვეთრ განცხადებებს ჩინეთის გავლენას უკავშირებენ. მათივე ვარაუდით, აშშ-ჩრდილოეთ კორეას შორის პოლიტიკური ვაჭრობა, შესაძლოა, წლობით გაიწვიოს,

ვიდრე კორეელები სასურველ მიზანს არ მიაღწევენო. საინტერესოა, რომ ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკებების ჩაშლას ამერიკელი პოლიტიკოსები სახელმწიფო მდივან მაიკლ პომპეოს და ტრამპის მრჩეველს უშინებენ საკითხებში ჯონ ბოლტონს აბრალებენ. ამასობაში კი საერთაშორისო სასამართლოს წევრებს აშშ-ში შესვლა შეეზღუდათ. ამის მიზეზად პომპეომ ამერიკელი ჯარისკაცების მიერ უცხოეთში (ერაყი, ავღანეთი) ჩადენილი დანაშაულების გამოძიება დაასახლა.

ენერგეტიკულ კრიზისს ვენესუელაში ახალი, წყლის პრობლემა დაემატა. ქვეყანაში მხოლოდ სასმელი კი არა, ტექნიკური წყალიც არ იყო. მოსახლეობასთან წყალი მანქანებით მიჰქონდათ, რამაც საკმაოდ დიდი რიგები გამოიწვია. ენერგოსისტემების დასაცავად პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ სპეციალური სამხედრო შენაერთი შექმნა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თვითმარქვია ზუან გუაიდომ ვერ შეასრულა დაპირება და ვერ შეეცადა ხელისუფლება, იგი ახლა როგორც პოლიტიკოსი, მოჩვენებასავით გაქრებაო. პომპეო კი ვენესუელის კრიზისს კუბელ კომუნისტებს და რუსეთს აბრალებს. ამასობაში პოლიტოლოგები მარჩიელობენ, მართლაც მოიკიდებს ფეხს თუ არა ნეოფაშიზმი მსოფლიოში, რაც მართლაც არნახულ ქაოსს გამოიწვევს პლანეტაზე.

გია ბურღული  
551 71 27 07







# „ლახეზისი“ კლიმაქსის დაკლავის უეხარი საშუალება

ცნობილი ქართველი მკურნალი, ექიმი-ჰომეოპათი, „გულის ელექსირის“ და სხვა უეხარი ჰომეოპათიური პრეპარატების შემქმნელი, ბატონი კახა საბახტარიშვილი დღეს ქალთა კლიმაქსზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე გვესაუბრება.

— ბატონო კახა, რა იწვევს კლიმაქსს?

— ქალთა ორგანიზმში არსებული ჰორმონები, რომელთაც ესტროგენები ეწოდება, გარკვეული დროის დადგომის შემდეგ მცირდება და იწვევს კლიმაქსი თანამდგომის გართულებებით.

კერძოდ, ქალს ეწვევა თავბრუსხვევა, მაღალი წნევა, პრობლემები ჩნდება ღვიძლში, ძვლებში, შარდის ბუშტში

განვითარების წინაპირობაა. კლიმაქტერულ პერიოდს თან ახლავს წონაში მკვეთრად მატებაც...

— რამდენადაც ვიცით, უნებლიე ცხელება ახლავს ამ პროცესს.

— წამოხურებები, ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმპტომია კლიმაქსის დროს. წამოხურებებისას კანის ზედაპირზე ჩნდება ძლიერი სიცხის შეგრძნება, სისხლი სხეულს აწვევა და სახეზე სიწითლეს იწვევს. წამოხურების ხანგრძლივობა 30 წამიდან 1 წუთამდე მერყეობს. ზოგიერთ ქალბატონს ის დღე-ღამის განმავლობაში, შესაძლოა, ორმოცდაათჯერაც კი განუვითარდეს. წამოხურებას თან ახლავს ძლიერი ოფლიანობა და, რაც

მაქსის დროს ქალბატონები ხშირად მიმართავენ ზოლმე უროლოგს, ნევროპათოლოგს, კარდიოლოგს, თუმცა, შექმნილი ჯანმრთელობის პრობლემებისას, შედეგი არის ნული.

— ჰომეოპათია რით და როგორ ებრძვის კლიმაქსს?

— კლიმაქსთან დაკავშირებული ყველა პრობლემა ჯერ კიდევ 1828 წელს იქნა გადაჭრილი ცნობილი ამერიკელი ექიმისა და ამერიკული ჰომეოპათიის მამის კონსტანტინე ჰერინგის მიერ.

1828 წელს ბრაზილიაში ექსპედიციისას კონსტანტინე ჰერინგს ინდიელებმა უძლიერესი შხამის მქონე გველი აჩვენეს, რომელსაც ისინი სურუკუკუს ეძახდნენ. სურუკუკუ მსოფლიოში ყველაზე აგრესიული

ნელ-ნელა ზრდიდა. ლახეზისის შხამის გარკვეული დოზის მიღების შემდეგ ექიმს განუვითარდა ზუსტად ისეთივე სიმპტომები, რაც კლიმაქსს ახასიათებს — დაეწყო წამოხურებები და ა. შ.

ასე შეიქმნა სურუკუკუს, ლახეზისის, ანუ ბუშმაისტერის შხამისგან, უძლიერესი ჰომეოპათიური პრეპარატი „ლახეზისი“, რომელიც კლიმაქტერული პერიოდის გადასალახავად უეხარი და შეუცვლელი საშუალებაა.

სხვათა შორის, „ლახეზისი“ ბერძნულ მითოლოგიაში, ბედის სამი ღმერთიდან ერთ-ერთს ჰქვია.

რაკი სურუკუკუს შხამი, ფაქტობრივად, განსაზღვრავდა კლიმაქსიან ქალების ბედს, ამიტომ როგორც გველს, ისე მისი შხამისგან დამზადებულ საშუალებასაც ბედის ერთ-ერთი ღმერთის — ლახეზისის სახელი უწოდეს.

— ბატონო კახა, როგორც ვიცით, თქვენ „ლახეზისს“ ამზადებთ.

— დიახ, ჩვენ ვამზადებთ ჰომეოპათიურ პრეპარატს „კლიმაქტო-ჰერბს“, რომლის შემადგენლობაში შედის სწორედ ის ზემოთაღნიშნული „ლახეზისი“.

„ლახეზისს“ არათუ ფართოდ ვიყენებთ სამედიცინო პრაქტიკაში, არამედ მის საფუძველზე, სხვა მცენარეულ კომპონენტებთან კომბინაცია-



ში, მე და ექიმი სოფიო მარგალიტაშვილი ვქმნით ბუნებრივ ნატურალურ კომპლექსს „კლიმაქტო-ჰერბსს“ სახელწოდებით, რომელიც, ჯერჯერობით, მხოლოდ ჩვენს კლინიკაშია. ეს არის შეუცვლელი საშუალება ქალთა კლიმაქსისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემების (მაღალი წნევა, ნევროზული მოვლენები, ენდოკრინული დარღვევები და ა. შ.) დასამარცხებლად. რაც შეეხება მამაკაცთა კლიმაქსს და მის თანმხლებ პროსტატის ადენომის მკურნალობის საკითხებს, ამაზე შემდგომ ნომერში ვისაუბრებთ.

ირანდა პალანდამი  
593 56 11 18

ბატონ კახა საბახტარიშვილს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ მისამართზე:  
თბილისი,  
ბახტრიონის ქ. #10ა.  
სამედიცინო ცენტრი  
„ნეოკლინიკა“  
მიღება წინასწარი ჩაწერით.  
ტელ.: 593 31 70 34.



და, რაც ყველაზე საყურადღებოა, ვითარდება ფსიქიკური აშლილობაც. კლიმაქტერულ პერიოდში ქალებში მკვეთრად მატულობს ათეროსკლეროზის, გულის იშემიური დაავადებებისა და ინფარქტების რიცხვი, რადგან ქალთა სასქესო ჰორმონების — ესტროგენების ნაკლებობა ორგანიზმში ე.წ. „ცუდი ქოლესტერინის“ დაგროვებას იწვევს; ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს ე.წ. „ათეროსკლეროზული ფოლაქების“ წარმოქმნას, რაც თრომბის

ყველაზე საყურადღებოა, დროის მცირე მონაკვეთით გონების დაკარგვაც შეიძლება მოხდეს. ოფიციალურ მედიცინას კლიმაქსის წინააღმდეგ საბრძოლველად ეფექტური იარაღი არ გააჩნია. გამოსავალი, წარმოიდგინეთ და, ისევე და ისევე ჰომეოპათიაშია.

ოფიციალური მედიცინა კლიმაქსს იმით ებრძვის, რომ ორგანიზმს ჰორმონებით გამოტენიან, რაც წონაში კატასტროფულ მატებას და უამრავ პათოლოგიას იწვევს. კლი-

გველია, რომლის შხამიანი კბილების სიგრძე 2,5 სანტიმეტრს აჭარბებს. სურუკუკუ ლახეზისი, ანუ ბუშმაისტერი, ფაქტობრივად, ერთადერთი შხამიანი გველია, რომელიც ადამიანს დასაგესლად მისდევს. მისი წიწილის შხამიც კი სასიკვდილოა. ამ გველს „ტყვის მბრძანებელსაც“ უწოდებენ.

კონსტანტინე ჰერინგმა დაიწყო სურუკუკუს, ანუ ლახეზისის შხამის შესწავლა და თავის თავზე გამოცდა. ის მიღებული შხამის კონცენტრაციას

**სახანსო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)**



ქალბატონი ირმა სინარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას. წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ეხდით ირმა სინარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ. №2 (მეტრო ნაჩეთაშთაძის) ტელ.: 551 50 89 07





